## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 89

ქ.წყალტუბო

27 დეკემბერი 2017 წელი

ერთი მხრივ ა(ა)იპ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება"(შემდგომში,,შემსყიდველი"), წარმოადგენილი მმართველის გიორგი იობიძის სახით , ს/კ 221281636, იურიდიული მისამართი ვაჟა ფშაველას ქ.№1, და მეორეს მხრივ წარმოდგენილი ი.მ ავთანდილ კაჭახიძე სახით (შემდგომში ,, მომწოდებელი") ს/კ 60001001486 ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის ,,ს1" ქვეპუნქტის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17აგვისტოს 13 ბრძანების დამტკიცებული ,, გამარტივებული შესყიდვების კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვების ჩატარების წესის" მე-2 მუხლის ,,ა" პუნქტის შესაბამისათ ხელშეკრულებას დებენ შემდეგზე:

### 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – ,,ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 ,, ხელწეკრულების ღირებულება "- თანხა , რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდწბლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3 ,,დღე" , ,,კვირა", ,,თვე"- კალენდარული დღე, კვირა , თვე.

1.4 ,, შემსყიდველი"- ორგანიზაცია , რომელიც ახორციელებს შესყიდვას

1.5 ,, მიმწოდებელი"- პირი, რომელიც ახორცილებს მამსახურეობის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

### 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 კლასიფიკატორის კოდი: (15800000 )

2.2 შესყიდვის საგანი - სხვადასხვა საკვები პროდუქტები ( შოკოლადი და ტკბილეულობა )

### 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს - 12240 (თორმეტიათასორასორმოც)ლარს

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს შემსრულებლიშ მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს .

### 4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალიუტაში.

4.2 მომწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის მიწოდების შემდეგ, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურეობის შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

### 5. მომსახურების მიღება- ჩაბარების წესი

5.1 მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ გაწეული მომსახურეობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

### 6. მომსახურების ადგილი და ვადა

6.1 მომსახურეობის მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მიერ მითითებულ მისამართზე

6.2 მომსახურეობის მიწოდება განხორცილდება 2017 წლის 28 დეკემბრის ჩათვლით.

### 7. მხერათა უფლება- მოვალეობები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა ინსპექტირება.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურეობის ღირებულის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მომსახურეობა სათანადო ხარისხით

## 8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1 შემსყიდველი უფლებამოსისლია განხორციელოს კონრტოლი( ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსახურეობის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

## 9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირსამტეხლო ყოველ დაგაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში , თუ დაკისრებული პირსამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 20(ოც) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირსამტეხლოს ანაზღაურება..

9.3 პირსამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

## 10. ფორს- მაჟორი

10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

## 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების , დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე .

11.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარეს მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს11.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განძრახვის შესახებ.

11.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე .

## 12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

20.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2018 წლის 5 თებერვალი.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

ა(ა) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საბავშვო ბაღების გაერთიანება
ს/კ 221281636
მის: ვაჟა ფშაველას N1
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური
ბანკის კოდი: TRESGE22
ელ ფოსტ:Tskaltubosbagebi@jmail.com
საკონტაკტო ნომერი 599 208 251
აიპ წყალტუბოს საბავშვო ბაღების გაერთიანების

მმართველი: გიორგი იობიძე

მიმწოდებელი:

ი.მ ავთანდილ კაჭახიძე
ს/კ 60001001486
ბანკის კოდი: MIBGGE22
ანგარიშის ნომერი:GE47PC0013600100046414
ი/მ: ავთანდილ კაჭახიძე

საახალწლო სასაჩუქრე ქისის აღწერა:

1. სასაჩუქრე ტკბილეულობა უნდა იყოს განთავსებული ნაჭრის გაუმჭირვალე ქისაში. ქისა დამზადებული უნდა იქნას აბრეშუმის ქსოვილით, ატლასის იერსახით. ერთი გასაყრელი თოკით. ქისაზე უნდა იკითხებოდეს წარწერა ქართული ასოებით ,, გილოცავთ შობა-ახალ წელს".
2. საახაალწლო სასაჩუქრე ქისა უნდა იყოს გათვლილი 1530 ბავშვზე .
3. საახალწლო სასაჩუქრის ქისის თკბილეულობის ჯამური წონა უნდა იყოს არანაკლებ 420 გრამისა.
4. ნიმუშის წარმოდგენა სავალდებულოა და უნდა შეთახმდეს შემსყიდველთან

შენიშვნა: წარმოდგენილი პროდუქცია უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას, სტანდარტს, სურსათის უვნებლობას და სანიტარულ- ჰიგიენურ წესებს. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს პროდუქტის ხარისხის დამადასტურებელი სერთიფიკატი. მისაწოდებელი პროდუქციის ვარგისიანობის ვადა არანაკლებ 3( სამი) თვით უნდა აღემატებოდეს მოწოდების თარიღს.

ი/მ ავთანდილ კაჭახიძე

ფასების ცხრილი

| N | შესასყიდი საქონელის დასახელება | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი | საერთო ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | საახალწლო სასაჩუქრე ქისა | ცალი | 1530 | 8 | 12 240 |

ი/მ ავთანდილ კაჭახიძე